პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ☆ გამოცემის 33-ე წელი

№ 225 (9385) | კვირა, 21 სექტემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის—მოწინავე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში (1-ლი გვერდი).

კომუნიზმის მშენებლობის გიგანტი (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა. კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. ამხანაგები ნ. ნ. კაკუჩაია, ვ. ბ. გოგუაძე, ა. ტ. რიაგოვი, ა. გ. გოგრიჩიძე, გ. ს. კიკნაძე, მ. ი. ჯაფი და ე. დ. ჯვებენავა სიტყვები (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები (მე-4 გვერდი).

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად. შეჯიბრებაში ჩაბმული მშრომელთა ფართო მასები დაძაბულ შრომას ეწევიან ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. განამტკიცებენ რა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებს, მათ ახალი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დიად პერსპექტივებს სახავს საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. ეს იქნება საბჭოთა ხალხის მიერ წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ. მშრომელთა უდიდეს აქტივობას, რაც გამოწვეულია პარტიის XIX ყრილობისათვის მზადებით, სათავეში უდგანან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. გაჩაღებულია ბრძოლა ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების, განათლების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის.

„ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები,—ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში, — დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს და ავალებენ მათ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გააჩაღონ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ფართო კრიტიკა, ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციის მიზნით.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით დახმარება გაეწიოს სამრეწველო და საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორებს, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავეებს მათს მისწრაფებაში — გაადიდონ წარმოება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ თვითღირებულება“.

ეს ამოცანები ადგილობრივი საბჭოებისაგან მოითხოვენ მუშაობის ახლებურად გარდაქმნას, ორგანიზაციულ-მასობრივი საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესებას. ადგილობრივი საბჭოები თავიანთ მუშაობაში უნდა დაეყრდნონ დეპუტატებს, ფართო აქტივს, ჩვენს მრავალრიცხოვან ინტელიგენციას ქალაქად და სოფლად.

ყრილობისათვის მზადების დღეებში საქართველოს მშრომელები თავდადებით მუშაობენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამ შრომითს აღმავლობას პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი საბჭოები. ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ ბევრგან საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს გორის რაიონის მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების მუშაობა. საბიუჯეტო კომისია აქტიურად მონაწილეობს ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ეს საკითხები შეაქვს სესიებზე, ამოწმებს ბიუჯეტის შესრულებას და იმას, თუ რამდენად სწორად იხარჯება ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები. სასკოლო კომისიამ აქტიური დახმარება გაუწია სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებას ამ სოფლის სკოლების ყოველმხრივ მოსამზადებლად ახალი სასწავლო წლისათვის. სასკოლო კომისია ამ დღეებში უფრო აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში.

ახალი ხუთწლედის პროექტით დასახული ამოცანები მოითხოვენ საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოვლინებასა და აღმოთხრას. მაგრამ ამას როდი ითვალისწინებენ ტინისხიდისა და ტრიბუნის სასოფლო საბჭოები (ოორის რაიონი). ისინი მოუქნელად მუშაობენ, მუდმივი კომისიები არაფერს აკეთებენ. ყურადღება არ ექცევა სოფლის კეთილმოწყობის საქმეს, დეპუტატები არ აყენებენ საჭირბოროტო საკითხებს. მართალია, საბჭოს სესიებს იწვევენ, გადაწყვეტილებებიც გამოაქვთ, მაგრამ მათი შესრულებისათვის არ იბრძვიან.

მსგავს ნაკლოვანებებს ვხვდებით დუშეთის რაიონის მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში. მაგალითად, ჭართლის სასოფლო საბჭოში ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ჩაშლილია. არც ერთი მუდმივი კომისია არ მუშაობს. საბჭოს საქმიანობაში ჩაბმული არ არის აქტივი. დადგენილებებს იღებენ, მაგრამ მათი უმრავლესობა არ სრულდება. ცუდად მუშაობენ დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს მუდმივი კომისიებიც.

„სასოფლო საბჭო, — გვასწავლის ამხანაგი ლ. პ. ბერია,—სოფლის პატრონია; მას აქვს დაკისრებული პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის. იქ, სადაც კარგი სასოფლო საბჭოა, სადაც სასოფლო საბჭოს კარგი თავმჯდომარეა, კოლმეურნეობებიც ძლიერი არიან“. ეს მითითება დაივიწყეს ჭართლის სასოფლო საბჭოში. აქ ორი კოლმეურნეობაა და ორივე ჩამორჩენილია. არ სრულდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები, დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. უნდა მივაწეროთ იმას, რომ თვითეული სასოფლო საბჭო სანიმუშოდ მუშაობდეს.

დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა გვიჩვენონ თავიანთი მაორგანიზებელი როლი. ყურადღებით მოეკიდონ და გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება ინჟინერთა, ტექნიკოსთა მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან გამოსული გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისადმი, მეტი ყურადღება მიაქციონ მშენებლობის დიდ და მცირე უბანზე მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, ტექნოლოგიის შემდგომ გაუმჯობესებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხსა და ასორტიმენტს.

ახლახან დამთავრებულმა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XV ყრილობამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახა სერიოზული ამოცანები, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლა როგორც პარტიული ორგანიზაციების, ისე ადგილობრივი საბჭოების ღირსების საქმეა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბოლომდე აღმოვფხვრათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები.

„ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, — თქვა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე ამხ. ა. მგელაძემ,—ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტიის ძალა ხალხის მასებთან განუყრელ კავშირშია. ჩვენი სისხლხორცეული საქმეა ყოველმხრივ განვამტკიცებდეთ კავშირს მასებთან, თავის დროზე ვეხმაურებოდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, უნარიანად განვუმარტავდეთ მათ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის არსს, მის გადაწყვეტილებებს“.

მასებთან განუყრელი კავშირი, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ყურადღება ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში წარმატებათა მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

აუცილებლად საჭიროა, რომ ადგილობრივი საბჭოების მუდმივმა კომისიებმა მთელი საქმიანობა გარდაქმნან ახალი ვითარების შესაბამისად. მუდმივი კომისიები თავიანთი მრავალრიცხოვანი აქტივით უნდა იყვნენ მებრძოლი ორგანიზატორები საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის.

უფრო მაღლა ავწიოთ ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა. ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვან სახალხო მეურნეობაში ახალ წარმატებათა მოპოვებით, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებით შევხვდეთ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას, — ასეთია ახლა ადგილობრივი საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის, ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის და როსტოვის ოლქის გვალვიანი მიწების პირველი რიგის — 100 ათასი ჰექტარის სარწყავ ნაგებობათა მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისა და თავდადებული მუშაობისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“:**

1. **ალექსანდროვს** ალექსანდრე პეტრეს-ძეს — ვოლგა-დონის სანაოსნო არხის კრასნოარმეისკის სამშენებლო რაიონის უფროსს.

2. **ბარაბანოვს** ვასილ არსენის-ძეს — ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

3. **ელისეევს** ვასილ ივანეს-ძეს — ვოლგა-დონის სანაოსნო არხის წყალგამყოფი სამშენებლო რაიონის ბულდოზერისტს.

4. **ერმოლენკოს** ივანე ვასილის-ძეს — ვოლგა-დონის სანაოსნო არხის დონის სამშენებლო რაიონის მოსიარულე ექსკავატორის ოსტატს.

5. **ჟუკს** სერგი იაკობის-ძეს—„ჰიდროპროექტის“ უფროსს და ვოლგადონმშენის მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

6. **რუსოს** გიორგი ანდრიას-ძეს — „ჰიდროპროექტის“ უფროსის მოადგილეს და მთავარ ინჟინერს.

7. **სიმაკს** ევგენი პეტრეს-ძეს — ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლობის ექსკავატორის მემანქანეს.

8. **სლეპუხას** დიმიტრი ალექსის-ძეს — ვოლგა-დონის სანაოსნო არხის წყალგამყოფი სამშენებლო რაიონის ექსკავატორის უფროს ოსტატს.

9. **ულესოვს** ალექსი ალექსანდრეს-ძეს—ციმლიანსკის ჰიდროკვანძის სამშენებლო რაიონის ელექტროშემდუღებელს.

10. **უსკოვს** ანატოლი პავლეს-ძეს — ვოლგა-დონის სანაოსნო არხის წყალგამყოფი სამშენებლო რაიონის 14-კუბიანი მოსიარულე ექსკავატორის უფროსს.

11. **ფილიმონოვს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს—ჰიდროვოლგადონმშენის მთავარი სამმართველოს მთავარი ინჟინერის მოადგილეს.

12. **შჩერბინინს** ალექსი ალექსანდრეს-ძეს—ციმლიანსკის ჰიდროკვანძის სამშენებლო რაიონის უფროსს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1952 წლის 19 სექტემბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

1952 წლის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა მიღების შესახებ

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი იღებს ნაშრომებს 1952 წლის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად.

განსახილველად მიიღება 1950, 1951 და 1952 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები და სახელმძღვანელოები, 1950, 1951 და 1952 წლებში რეალიზებული გამოგონებანი და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირითადი გაუმჯობესებანი.

ზემოაღნიშნულ ნაშრომებს წარმოადგენენ სამეცნიერო დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, სამინისტროები, უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

წინადადებანი 1952 წ. სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ჟდანოვის ქუჩა, 11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი.

ДИАДИ МШЕНЕБЛОБИСАТВИС

ARALSKI, 19 სექტემბერი. (საკუთარი). დღეს არალსკის ნავსადგურიდან გავიდა გემი „აქტიუბინსკი“. მან წაიყვანა მცურავი ამწე, რომელიც არალსკის გემშემკეთებლებმა ააშენეს თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებისათვის. დაკვეთა ვადაზე თითქმის ორი თვით ადრე შესრულდა.

საწარმომ მიიღო დიადი მშენებლობის ახალი დაკვეთა: საჭიროა დამზადდეს ოთხი ხუთასტონიანი კარჭაპი და კიდევ ერთი მცურავი ამწე. გემთშემკეთებლები დადგნენ პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და ერთმანეთს ეჯიბრებიან საპატიო დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის.

კომუნიზმის მშენებლობის გიგანტი

დღეს სრულდება ორი წელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილებიდან „მდინარე დნეპრზე კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის, სამხრეთ უკრაინის არხის, ჩრდილოეთ ყირიმის არხის მშენებლობისა და უკრაინის სამხრეთი რაიონებისა და ყირიმის ჩრდილოეთი რაიონების მიწების მორწყვის შესახებ“.

საბჭოთა ხალხმა უდიდესი კმაყოფილებით მიიღო მთავრობის ეს გადაწყვეტილება. ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ნებით, კომუნიზმის გენიალური ხელოვნებით ამხანაგ სტალინის ნებით დნეპრის წყალი ჩვენი ქვეყნის სამხრეთის გვალვიან რაიონებს სიუხვის მხარედ გადააქცევს. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საბჭოთა მთავრობის ეს ისტორიული გადაწყვეტილება შეაფასა როგორც დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების ახალი მკაფიო გამოვლინება და მისი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის ნათელი ილუსტრაცია.

დიდი სტალინი გვასწავლის, რომ ჩვენი წყობილება, საბჭოთა წყობილება სწრაფი წინსვლის ისეთ შესაძლებლობებს გვაძლევს, რომლებზეც ოცნება არ შეუძლია არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანას.

უკრაინის სამხრეთის ტრამალებსა და ყირიმის ჩრდილოეთ ნაწილში გრანდიოზული სამუშაოები გაჩაღდა. ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კომუნიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით მდინარე დნეპრზე, ქალაქ კახოვკის რაიონში აშენდება ორას ორმოცდაათი ათასი კილოვატი სიმძლავრის ახალი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც საშუალო წყლიანობის წელიწადში გამოიმუშავებს დაახლოებით ერთ მილიარდ ორას მილიონ კილოვატ საათ ელექტროენერგიას. გარდა ამისა, შეიქმნება სამხრეთ უკრაინის არხი, რომელიც დნეპრიდან მიიღებს წყალს წამში 600-650 კუბური მეტრის რაოდენობით, და მისი გაგრძელება—ჩრდილოეთ ყირიმის არხი. ორივე არხის საერთო სიგრძე იქნება ხუთას ორმოცდაათი კილომეტრი.

საბჭოთა მთავრობის ამ ისტორიული დადგენილებით დასახული დიადი გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს:

— უკრაინის სსრ ხერსონის, ზაპოროჟიეს, ნიკოლაევისა და დნეპროპეტროვსკის ოლქებში ერთი მილიონ ორასი ათასი ჰექტარი მიწების მორწყვას, მათ შორის ხუთასი ათასი ჰექტარისას თვითდინებით და შვიდასი ათასი ჰექტარისას წყალის მექანიკური მიწოდებით, ხოლო ყირიმის ოლქის ჩრდილოეთ რაიონებში სამასი ათასი ჰექტარი მიწების მორწყვას, მათ შორის ორასი ათასი ჰექტარისას თვითდინებით და ასი ათასი ჰექტარისას წყალის მექანიკური მიწოდებით;

ერთი მილიონ შვიდასი ათასი ჰექტარი მიწების წყალით უზრუნველყოფას უკრაინის სამხრეთ რაიონებსა და ყირიმის ჩრდილოეთ რაიონებში;

მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნას უკრაინის სამხრეთ ველებიან რაიონებში, სამხრეთ უკრაინის არხის და ჩრდილოეთ ყირიმის არხის, წყალგამყვანი სარწყავი არხებისა და წყალსაცავების ზონაში და სარწყავი მიწების საზღვრებზე, აგრეთვე დნეპრის ქვემოწელის ქვიშნარების დამაგრებას.

ორი წლის განმავლობაში მდინარე დნეპრის ნაპირებზე მშენებლობის რაიონებში უდიდესი ცვლილებები მოხდა: რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულია სამშენებლო მოედნები, აგებულია ახალი სოციალისტური ქალაქი — კახოვკა, შესრულებულია 6,5 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაოები. კახოვკაში უკვე აშენებულია დაახლოებით 400 ერთსართულიანი და ორსართულიანი სახლი, აგებულია და მუშაობს საზაფხულო თეატრი, პოლიკლინიკა, სკოლები, საბავშვო ბაღები, მაღაზიები, სტადიონი... ორი წლის განმავლობაში მშენებლების თავდადებული შრომით გაყვანილია 171 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი, აგებულია რკინიგზის შემრჩევი სადგური, ნავმისაბმელები და სხვ.

ამ გრანდიოზული მშენებლობების წარმმართველი ძალაა მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 760 კომუნისტს აერთიანებს. კომუნისტების უახლოეს თანაშემწეებს წარმოადგენენ კომკავშირელები. მშენებლობის 68 პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში 2.500 კომკავშირელი ითვლება. კომუნისტები და კომკავშირელები საწარმოო გეგმათა წარმატებით შესრულებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში არიან, გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების ინიციატორებად და თავიანთი გმირული შრომით მაგალითს აძლევენ და აღაფრთოვანებენ მთელი მშენებლობის მრავალათასიან კოლექტივს.

დნეპრზე კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობის შესახებ საბჭოთა მთავრობის დადგენილების მეორე წლისთავი დაემთხვა იმ სასიხარულო დღეებს, რომლებსაც განიცდის მთელი საბჭოთა ხალხი, საყოველთაო პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მორიგი XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მშენებლობის მთელი კოლექტივი, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით გარემოსილი, გაათკეცებული ენერგიით შრომობს. კახოვკის მშენებლები გულდასმით სწავლობენ ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს და ითვალისწინებენ ყველა შესაძლებლობას მშენებლობის დასაჩქარებლად.

მთელი ის უდიდესი სამუშაოები, რაც დაკავშირებულია კახოვკის ჰესის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობებთან, უნდა დამთავრდეს 1957 წელს. მშენებლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის საპატიო დავალება. ის ყოველდღიური ზრუნვა და დახმარება, რასაც პარტია, მთავრობა და პირადად დიდი სტალინი უწევენ მშენებლებს, იმის საწინდარია, რომ კომუნიზმის ეს დიადი მშენებლობა დანიშნულ ვადაში დამთავრდება.

ნოვაია კახოვკა. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობა. სრული დატვირთვით მუშაობენ მიწისმწოვი მანქანები ქვაბულის აგებაზე. აქ მომუშავე მიწისმწოვი მანქანების საწარმოო სიმძლავრე საათში 35 ათას კუბურ მეტრ გრუნტს შეადგენს. **სურათზე:** მიწისმწოვი მანქანა. ფოტო ი. ლიხუტასი (საკუთარი ფოტოქრონიკა).

ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

საქართველოს სსრ ჩაის საბჭოთა მეურნეობებში 20 სექტემბრისათვის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 85 პროცენტით, სექტემბრის დავალება კი — 39 პროცენტით. გონიოს საბჭოთა მეურნეობაში წლიური გეგმა შესრულებულია 85 პროცენტით, სალიბაურის — 78,5, ჩაქვის — 86,9, ოჩხამურის — 89,1, ცეცხლაურის — 84,7, აჩიგვარის — 82,3, სიდის — 107,7, მოქვის — 73, ნატანების — 76,7, ლაითურის — 83,7, ნარუჯის — 93, ნასაკირალის — 85,5, წულუკიძის — 79,3, დიდიჭყონის — 83,7, ლესიჭინის — 61,6, ინგირის — 76,9, ონარიის — 65, ნარაზენის — 90,2, ხეცერის — 100,9, წალენჯიხის — 97,3, ხიბულის — 101,5, გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — 28 პროცენტით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კამათი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებაზე

ამხ. ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა ხალხის მეურნეობისა და კულტურის სწრაფი ზრდა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება.

სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების, საბჭოთა ხალხის კულტურისა და საარსებო დონის ზრდის შესანიშნავი სურათია მოცემული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა.

მშრომელები ღრმა კმაყოფილების გრძნობით სწავლობენ ჩვენს ქვეყანაში გამლილი კომუნისტური მშენებლობის ამ ისტორიულ დოკუმენტს.

საბჭოთა ხალხი საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას ხვდება ახალი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობაში.

სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ XIX ყრილობის დირექტივების პროექტისა და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის განხილვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რაიონულ, საქალაქო და საოლქო კონფერენციებზე მაღალი პოლიტიკური დონით მიმდინარეობდა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მხურვალედ იწონებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტებს და აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის ყოველი დავალების შესრულებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარების, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობა განუხრელად ვითარდება.

სამრეწველო წარმოების დონე, რაც ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის იყო დაწესებული, მიღწეულ იქნა ადრე, 1949 წლის IV კვარტალში.

დიდი მასშტაბით წარმოებული კაპიტალური მშენებლობისა და ახალი ობიექტების ამუშავების შედეგად რესპუბლიკაში მრეწველობის ძირითადი ფონდები 1943-1951 წლების პერიოდში გაიზარდა 80 პროცენტით.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა რესპუბლიკის სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. გადიდდა ნათესი ფართობი, უმთავრესად ხორბლის ნათესების გაფართოებით. მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. მიმდინარე წელს ჩაბარებული იქნა 5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს, და 10 სექტემბრისათვის — 28 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1951 წელს. პურის დამზადება გრძელდება.

გაშენებულია ათასობით ჰექტარი ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციები, ვენახები და ხეხილის ბაღები.

გაიზარდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, თუმცა მთლიანად მეცხოველეობის მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება.

ყველა ეს წარმატება მიღწეულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუდმივი დახმარების მეოხებით, იმის მეოხებით, რომ ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკას, ბრძნულ ხელმძღვანელობას უწევს და მისი განვითარების საკითხებს ყურადღებას აქცევს კომუნიზმის გენიალური ხუთოთმოძღვარი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშე, ჩვენი ძვირფასი ბელადი, მასწავლებელი და მეგობარი დიდი სტალინი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველა ეს წარმატება, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარებისა და რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომის მეოხებით, უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო უდარდელობისა და პარადული კეთილდღეობის ვითარება, რომელიც გამეფებული იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და რომელსაც ნერგავდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი კ. ჩარკვიანი. წარმატებებით დატკბობა, უდარდელობა და პარადული ხმაური იყო კომუნისტებისათვის მიუღებელი ის ვითარება, რომელმაც განსაზღვრა სერიოზულ შეცდომათა და დამახინჯებათა წარმოშობა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის პირადმა მითითებებმა გამოამჟღავნეს ის სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებები, რომლებმაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა პოლიტიკურ ჩავარდნამდე მიიყვანეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ უნარიანად და ენერგიულად მოჰკიდა ხელი შეცდომების გამოსწორებას, მუშაობის გაუმჯობესებას რესპუბლიკის სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყველა რგოლში,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელიც თავის ყოველდღიურ მუშაობაში ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, ყველა ზომას იღებს იმისათვის, რომ საქმით აღმოფხვრას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელობის შეცდომები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა.

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლით ჩვენ კვლავაც გაბედულად უნდა ვამხილოთ ჩვენი ნაკლოვანებანი და ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისათვის.

ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ შევეხო სახალხო მეურნეობის დარგში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებას, რომლებიც მოითხოვენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას და მათი უსწრაფესი გამოსწორებისათვის სერიოზული ზომების მიღებას.

ზოგიერთი სამრეწველო სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ასრულებს წარმოების სახელმწიფო გეგმას.

ამხ. მგელაძემ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სამართლიანად გააკრიტიკა ცალკეული სამინისტროების მუშაობა. სამართლიანად აკრიტიკებდნენ სამინისტროებს კამათში გამოსული ამხანაგებიც.

საერთო პროდუქციის გამოშვების 1952 წლის პირველი ნახევრის გეგმა არ შეუსრულებიათ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (ამხ. პაატაშვილი), სატყეო მრეწველობის (ამხ. აბრამაშვილი და საბაშვილი), ხორცისა და რძის მრეწველობის (ამხ. გოჩაშვილი), ადგილობრივი მრეწველობის (ამხ. გორდეზიანი), კომუნალური მეურნეობის (ამხ. სუხიაშვილი), ვაჭრობის (ამხ. ხანთაძე და ნარსია) სამინისტროებს, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციას (ამხ. თარგამაძე), ინვალიდთა კოოპერაციას (ამხ. ქველაძე) და ცეკავშირს (ამხ. რუხაძე).

სამრეწველო წარმოების გეგმა არადამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული აგრეთვე ივლისში და აგვისტოში, რაც ცალკეული სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ცუდი მუშაობით არის გამოწვეული.

მიმდინარე წლის შვიდ თვეში მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით გეგმა არ შეუსრულებია 14 საწარმოს. ამის შედეგად მთლიანად სამინისტროსაც ვერ შეასრულა დავალება.

ბევრი სამრეწველო საწარმო თუმცა ასრულებს საერთო პროდუქციის გეგმას, მაგრამ ვერ ასრულებს მას ასორტიმენტისა და ხარისხის მხრივ.

ასორტიმენტისა და ხარისხის მხრივ გეგმის შესრულება ნიშნავს ისეთი ნაწარმის გამოშვებას, რომელიც სჭირდება სახელმწიფოს, აუცილებელია მოსახლეობისათვის, და არა ისეთი ნაწარმისა, რომლის გამოშვება ხელსაყრელი ან მოსახერხებელია მხოლოდ სამრეწველო საწარმოებისათვის. ეს უდავო ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, კარგად არ შეუთვისებიათ მსუბუქი მრეწველობის მინისტრს ამხ. რობაქიძეს და ადგილობრივი მრეწველობის მინისტრს ამხ. გორდეზიანს. შარშან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა უხეშად დაარღვიეს ასორტიმენტის გეგმა. ასორტიმენტის გეგმას წელსაც არღვევენ სამკერვალო, ფეხსაცმლის, აბრეშუმის მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ საწარმოებში მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე 30 სახის პროდუქციიდან არ შესრულებულა 14 სახის პროდუქციის გამოშვების გეგმა, ხოლო რაიონული მრეწველობის საწარმოებში 35 სახიდან 27 სახის პროდუქციის გამოშვების გეგმა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და, პირველ რიგში, მინისტრი ამხ. გორდეზიანი ჯეროვნად ვერ აფასებენ ადგილობრივი მრეწველობის როლს ფართო მოხმარების ნაწარმით რესპუბლიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. მაგალითად, თუ 1948 წელს ფართო მოხმარების საქონლის ხვედრითი წონა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საერთო პროდუქციის გამოშვებაში შეადგენდა 43,3 პროცენტს, 1951 წელს იგი შემცირდა 41,5 პროცენტამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის გარდაქმნის საკითხს.

სამრეწველო საწარმოთა საწარმოო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის საკითხი. სამინისტროები სისტემატურად უნდა მუშაობდნენ წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებზე. პროდუქციის ხარისხის საკითხი მუდამ უნდა იყოს სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში. ამაშია მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის არსი.

ცუდი ხარისხი ახასიათებს არა მარტო ფართო მოხმარების ზოგიერთი საქონლის წარმოებას, არამედ საწარმოო დანიშნულების მქონე ნაწარმის გამოშვებასაც. მაგალითად, რესპუბლიკური და რაიონული დაქვემდებარების მთელი რიგი საწარმოები უშვებენ, როგორც საწარმოო-მექანიკური მონაცემების, ისე გარეგნული სახის მხრივ შეუწყნარებლად დაბალი ხარისხის აგურსა და კრამიტს,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა დაბალი ხარისხის კრამიტს იძლევა. მშენებლები ერიდებიან ამ კრამიტის გამოყენებას. აგური, რომელსაც ხაშურის ქარხანა უშვებს, ისეთი ცუდი ხარისხისაა, რომ ხშირად გაუსაღებელი რჩება. ეს იმ დროს, როცა რესპუბლიკაში საკედლე მასალის მწვავე ნაკლებობაა.

ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მხრივ მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. პაატაშვილმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა არა მარტო დასახლებული საწარმოების, არამედ სხვების მუშაობაც. სამინისტრომ 8 თვის გეგმა 82,3 პროცენტით შეასრულა: ქვეყანას დააკლო 15 მილიონზე მეტი ცალი აგური და 800 ათასი ცალი კრამიტი.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. მგელაძემ ერთხელ კიდევ სერიოზულად გააფრთხილა ამხ. პაატაშვილი და მოსთხოვა მას საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის ძირეულად გაუმჯობესება, საკედლე მასალების წარმოების გეგმის შესრულება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საკედლე მასალების წარმოება უფრო ფართოდ უნდა განავითარონ იმ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც დიდი კაპიტალდაბანდებანი აქვთ, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეს „ვიწრო“ ადგილი აფერხებს კაპიტალური მშენებლობის განვითარებას. საჭიროა უახლოეს 1-2 წელიწადში აღმოვფხვრათ ეს სერიოზული ნაკლი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა გაუმჯობესონ დარგებისა და საწარმოების მიხედვით სამრეწველო წარმოების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, ოპერატიულად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და მიაღწიონ სამრეწველო სამინისტროებისა და საწარმოების მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

კაპიტალური მშენებლობა ჩვენი მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია.

თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად უდიდეს სახსრებს გამოჰყოფს კაპიტალურ სამუშაოთა შესასრულებლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალური მშენებლობის კიდევ უფრო გადიდებას. მაგრამ ამ დიდ საქმეში ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ნაკლოვანებებია. მშენებლობის სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობა, მისი გაჭიანურება, ღირებულების გაძვირება, სამუშაოთა ცუდი ხარისხი ხშირი მოვლენაა რესპუბლიკის ბევრ მშენებლობაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კაპიტალური მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობა როგორც წარსულ წლებში, ისე მიმდინარე წელს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულება 1952 წლის განვლილ პერიოდში. რესპუბლიკაში 1952 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა 8 თვეში შესრულებულია მხოლოდ 46,4 პროცენტით, აქედან საკავშირო-რესპუბლიკურ მეურნეობაში 47,9 და რესპუბლიკურ მეურნეობაში — 40,9 პროცენტით.

მშენებლობას მეტად სუსტად აწარმოებენ მთელი რიგი რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები. 1952 წლის 8 თვის განმავლობაში სატყეო მრეწველობის სამინისტრომ გეგმა შეასრულა 40,8 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — 46,3 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — 39 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ — 32,9 პროცენტით, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — 39,7 პროცენტით, პოლიგრაფგამომცემლობამ — 27,5 პროცენტით, მეცნიერებათა აკადემიამ — 33 პროცენტით და დასახლება-გადასახლების სამმართველომ — 4,7 პროცენტით.

კაპიტალური მშენებლობის სუსტი ტემპები ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ ამ საქმეს არასაკმაო ყურადღებას აქცევენ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

მშენებლობის გაზრდილი მოცულობა მოითხოვს მის ახალ მეთოდებს. მიუხედავად ამისა, მეტ წილ ჩვენს მშენებლობებზე, დიდ მშენებლობებზეც კი, კვლავ გამეფებულია კუსტარულობა, ძველებურად მუშაობა.

სამშენებლო მოედნებზე სამუშაოთა ორგანიზაციის პრიმიტიული მეთოდების შედეგად, ზემდგომი ორგანიზაციების მხრივ სათანადო კონტროლისა და დახმარების უქონლობის შედეგად ცალკეული ობიექტების მშენებლობა ჭიანურდება. მრავალ წელს ჭიანურდება პატარა ობიექტების მშენებლობაც კი. მაგალითად, შედარებით პატარა რაიონული საავადმყოფო დუშეთში უკვე 8 წელიწადს შენდება, ხოლო დმანისში — 7 წელიწადს, სკოლა ნაგომარში — 8 წელიწადს, სტადიონი გორში — 7 წელიწადს, ავტოტრანსპორტის სამინისტროს ავტობაზა ქალაქ თბილისში — 13 წელიწადს. ნელა მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ბევრი ხელმძღვანელი, იმის ნაცვლად, რომ მიაღწიოს მშენებლობის კარგ ორგანიზაციას და ობიექტების მოკლე ვადებში დამთავრებას, ამჯობინებს დააყენოს ახალ მშენებლობათა საკითხი.

მშენებლობის წარმატებას წყვეტენ კადრები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამუშაოთა ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების გამოყენება.

საჭიროა, რომ თვითეულმა სამშენებლო ორგანიზაციამ თავის მშენებლობებზე შექმნას მუდმივი კვალიფიციური მუშახელისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ბირთვი — ეს მშენებლობის გეგმების შესრულების ძირითადი პირობაა. მუშახელის შენარჩუნება უწინარეს ყოვლისა მოითხოვს მუშებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები უფრო მეტად უნდა ზრუნავდნენ ადამიანებისათვის. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამშენებლო ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მის შეიარაღებას მექანიზმებით, მზა დეტალების დამამზადებელი დამხმარე საწარმოების შექმნას, კარიერების, ბეტონის ქარხნების და სხვ. მოწყობას.

უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ შრომის ნოვატორულ მეთოდებს, ვსწავლობდეთ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის მშენებლებისაგან და განსაკუთრებით კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლებისაგან.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ, XIX პარტყრილობის დირექტივების პროექტის თანახმად, კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა წლითიწლობით გაიზრდება. ეს საქართველოს მშენებლებისაგან მოითხოვს მკვეთრად გაუმჯობესონ სამშენებლო საქმის ორგანიზაცია და ძირეული გარდატეხა მოახდინონ მუშაობის მეთოდებში.

ყრილობამ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უნდა მოსთხოვოს მიიღონ სერიოზული ზომები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესასრულებლად.

ყველა საჭირო ღონისძიების გატარებით აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მთლიანად ავითვისოთ გამოყოფილი სახსრები და ავამუშაოთ ახალი სამრეწველო საწარმოები, საექსპლოატაციოდ გადავცეთ ახალი საცხოვრებელი ფონდი, ავაშენოთ ახალი კომუნალური და კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობანი.

სერიოზული ამოცანები დგას რესპუბლიკის წინაშე სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. მიუხედავად არსებული მიღწევებისა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ყოფილი მინისტრი ამხ. მირიანაშვილი) ჯერ კიდევ ვერ აამაღლეს აპარატის მუშაობა ახალი ამოცანების დონემდე. დიდი ნაკლოვანებებია სატყეო მეურნეობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. ჯაში) მუშაობაში, განსაკუთრებით მიდინარსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმების შესრულების დარგში. ნაკლოვანებებია ტექნიკური კულტურების სამინისტროს (მინისტრი ამხ. ალავიძე) და წყალთა მეურნეობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. ლაღიძე) მუშაობაშიც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებას წარმოადგენს მრავალფეროვანი დარგების, აგრეთვე ბევრი ერთწლიანი და მრავალწლიანი სუბტროპიკული, ტექნიკური და სხვა კულტურების არსებობა. ჩვენი რესპუბლიკის სხვა თავისებურებაა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში გამოსაყენებელი მიწის ფონდის შეზღუდულობა.

ყოველივე ეს განსაზღვრავს ჩვენი სოფლის მეურნეობის სპეციფიკას და შესაბამისად აყენებს გარკვეულ ამოცანებს.

თქვენ, ამხანაგო დელეგატებო, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს წინაშე დგას დიდი ამოცანა — უზრუნველყოთ რესპუბლიკა საკუთარი წარმოების პურით.

ამ პასუხსაგები დავალების შესრულება მოითხოვს პირველ რიგში ხორბლის ნათესი ფართობის გადიდებას 1950 წელთან შედარებით დაახლოებით ერთისამად, აგრეთვე მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას. მთელ რიგ რაიონებში კი სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი მიწების ათვისება ნათესების გასაფართოებლად.

ახალი მიწების ათვისებას, რა თქმა უნდა, ზოგიერთი სიძნელე ეღობება, მაგრამ ამხანაგებმა უნდა შეიგნონ, რომ მზა სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში ცოტაა.

სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობის, ტექნიკური კულტურების სამინისტროები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები გადამწყვეტ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ მიწის ფართობის გადიდებისათვის ისეთ ღონისძიებათა გატარებით, როგორიც არის ბუჩქნარის ამოძირკვა, მელიორაცია, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება და ეგრეთწოდებული „უვარგისი“ მიწების გადაქცევა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოსადეგ მიწებად.

ხორბლის სათესი მიწის ნაწილს ჩვენ ვიღებთ საზამთრო საძოვრების მოხვნით, რითაც ერთგვარად ილახება სამომთაბარეო მეცხოველეობის ინტერესები. მაგრამ თავისთავად ეს ღონისძიება უთუოდ პროგრესულია, რადგან საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მიწები, გვაძლევს იმის ბიძგს, რომ გადავიდეთ მეცხოველეობის უფრო ინტენსიურ ფორმებზე — პირუტყვის ბაგურ შენახვაზე, რაც მნიშვნელოვნად ადიდებს მის პროდუქტიულობას.

ძირითადი მუშაობა მარცვლეულის პრობლემის გადასაწყვეტად იწყება 1953 წლიდან, ესე იგი 1952 წლის საშემოდგომო თესვიდან. ეს გვავალებს გავუმჯობესოთ მუშაობა რესპუბლიკაში მარცვლეული მეურნეობის განვითარებისათვის. საქართველო უზრუნველყოფილ უნდა იქნას საკუთარი წარმოების პურით, და საქართველოს კომპარტია უთუოდ შეასრულებს ამ ამოცანას, რომელიც მას დაუსახა ამხანაგმა სტალინმა. **(ტაში).**

ჩვენი ძალები და შესაძლებლობანი უნდა წარიმართოს იმ მეტად რთული ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტისაკენ, რომ ერთმანეთთან შეეახამოთ მალინტენსიური სუბტროპიკული, ტექნიკური, მრავალწლიანი კულტურების — ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, მევენახეობისა და მეხილეობის განვითარება და მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის მძლავრი განვითარება.

ეს ამოცანა უნდა დადავჭრათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი მექანიზაციისა და საბჭოთა აგრობიოლოგიის უახლეს მიღწევათა გამოყენების ბაზაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია შრომატევადი კულტურებით, დიდძალ მუშახელს მოითხოვს, მაგრამ ამავე დროს ჩვენ მუშებით უნდა უზრუნველვყოთ მრეწველობა და მშენებლობა. ამიტომ კოლმეურნეობებში შრომის სწორ ორგანიზაციასთან ერთად სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს სუბტროპიკული, ტექნიკური და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შრომატევადობის შემცირება ნიადაგის დამუშავების, მცენარეთა მოვლისა და მოსავლის აღების სამუშაოთა ფართო მექანიზაციის გზით.

როცა სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავლიანობა და მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობა. მაგალითად, ჩვენში ცუდად არის ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის საქმე. დაბალი მოსავლიანობა ძირითადად აიხსნება ვენახებისა და ხეხილის ბაღების ცუდი მდგომარეობით და იმით, რომ კოლმეურნეობები ყველა საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებას არ ახორციელებენ. ბევრი ვენახი და ბაღი მოითხოვს განახლებას, გამორგვას და სრულ რეკონსტრუქციასაც კი.

მოსავლიანობის მხრივ ჩამორჩენილი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები და თვით კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან გაუმჯობესონ ვენახებისა და ხეხილის ბაღების მდგომარეობა და ყველა აგროტექნიკური ღონისძიების მაღალ დონეზე განხორციელების გზით მიაღწიონ მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ჯერჯერობით აგრეთვე ბოსტნეულის, კარტოფილისა და მთელი რიგი სხვა კულტურების დაბალ მოსავალს ვიღებთ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საკითხები რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტის თანახმად „სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება...“.

ამ დირექტივის შესრულება საქართველოს კომუნისტების საბრძოლო ამოცანაა.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა საოლქო ორგანიზაციების შესახებ. ამხანაგებს ახსოვთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა შესახებ, იმის შესახებ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ ვერ შეამჩნია სერიოზული სამეურნეო ჩამორჩენა ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა დაბალ დონეზე დგას, ხოლო კოლმეურნეები შრომადღეზე მცირე შემოსავალს იღებენ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა დაავალა ოლქებისა და რაიონების პარტიულ ორგანოებს 3 თვის ვადაში შეემუშავებინათ თვითეული ჩამორჩენილი რაიონისათვის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩამორჩენილი რაიონებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

საოლქო და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა საკმაო ზომები არ მიიღეს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. თუ ქუთაისის ოლქში ზოგი რამ კეთდება — პარტიის საოლქო კომიტეტმა მიიღო კონკრეტული დადგენილება ჭიათურის რაიონის შესახებ, მზადდება სხვა რაიონების საკითხები, — სამაგიეროდ თბილისის ოლქში (თბილისის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ყუჯაშვილი), აჭარაში (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გოგოლაშვილი), სამხრეთ ოსეთში (საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კულუხოვი) ჯერ არსებითი არაფერი გაკეთებულა.

მართალია, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საოლქო პარტორგანიზაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებამ დიდი გავლენა მოახდინა კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცებაზე, მაგრამ ჩამორჩენილ რაიონებში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხი კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს ყოველი ცალკეული რაიონისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ამ ნაწილში მოწმობს, რომ ზოგიერთი რაიონული, აგრეთვე საოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელები საკმაო ინიციატივასა და დამოუკიდებლობას ვერ იჩენენ და ნაკლებად გრძნობენ პასუხისმგებლობას. ეს მოწმობს აგრეთვე იმას, რომ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კონტროლის საქმე ცენტრალურ ორგანოებში. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა გააუმჯობესონ კონტროლი გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასკომები მიმდინარე საქმიანობაში „ჩაეფლნენ“ და „დრო ვერ გამოუნახავთ“ ოლქის სახალხო მეურნეობის ძირითადი, საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავებისათვის.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე მუშაობაც საოლქო აღმასკომებში ზანტად, ნელა წარმოებს. მაგალითად, ისინი ძალიან აგვიანებენ გადაწყვეტილებათა მიღებას და რაიონებისათვის მიწოდებას, მთელ რიგ შემთხვევებში ერთი თვით ან თვენახევრითაც კი.

თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასკომებს დიდი აპარატი ჰყავთ, რომელიც საკმაოდ არ არის დატვირთული და რომელსაც ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობების წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად არ იყენებენ.

საოლქო კომიტეტები და საოლქო აღმასკომები ადგილობრივი, საოლქო საკითხების გადაჭრაში მეტ ინიციატივას, დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას უნდა იჩენდნენ. იგივე ეხება რაიონებს. უნდა გადავაჩვიოთ რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები იმას, რომ ყველა საკითხზე ელოდებოდნენ ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებას, მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორიც არის გადაუდებელი აგროტექნიკური ღონისძიებანი.

რა თქმა უნდა, საოლქო ორგანიზაციები ყველა საკითხს ვერ გადაწყვეტენ, მაგრამ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კამათი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებზე

ამხ. ზ. ნ. კეცხოველის სიტყვის დასასრული

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და მიიღონ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო რაიონების კოლმეურნეობებისათვის უზრუნველყონ შესაძლებლობა წელში გაიმართონ და გაიუმჯობესონ სამეურნეო მდგომარეობა.

საჭიროა ყრილობამ აღნიშნოს, რომ უნდა გაძლიერდეს საოლქო და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტისათვის.

ამხანაგებო, ამხ. შ. გეთია სწორად აკრიტიკებდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას მთელ რიგ შემთხვევებში უვიცი, დეზორიენტაციის გამომწვეული სტატიების, კერძოდ დუბინსკის სტატიის დაბეჭდვისათვის.

ამ მხრივ მას შორს ვერ გასცილებია „ლიტერატურნაია გაზეტას“ თანამშრომელი ამხ. დონეაშვილიც, რომელმაც გაზეთის № 111-ში გამოაქვეყნა სტატია, სადაც სახელს უტეხს 11-წლიან სწავლებას. ამ სტატიაში იგი წერს საქართველოში საშუალო განათლების 11-კლასიანი სისტემის არსებობის მიზანშეუწონლობაზე, რისთვისაც იმოწმებს მწერლების გომიაშვილისა და სხვების გამოსვლებს.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ გომიაშვილი და ზოგიერთი სხვა მწერალი დაჟინებით მოითხოვენ ქართული ლიტერატურის სწავლების საათების მნიშვნელოვან გადიდებას, მაგრამ უცნაურად ივიწყებენ, რომ ასეთი გადიდება 10-წლიანი სკოლის პირობებში შესაძლებელია მხოლოო სხვა საგნებში ცოდნის მოცულობის შემცირებით და უცოდინართა გამოშვებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. მგელაძემ კომკავშირის უკანასკნელ ყრილობაზე, აგრეთვე აქ, თავის საანგარიშო მოხსენებაში, სწორად და მკაფიოდ დაასაბუთა საჭიროება 11-წლიანი სწავლებისა, რაც შემოღებულ იქნა საკავშირო მთავრობის ნებართვით. ეს ღონისძიება საშუალებას გვაძლევს, ჩვენს სკოლებში რსფსრ სკოლების უხიფიცირებული პროგრამის შემოღებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქართული და რუსული ენების, აგრეთვე სხვა საგნების სწავლება.

ჩვენი მწერლები დიდ ვალში არიან სკოლის წინაშე. რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ მოსწავლეები დღემდე ვერ პოულობენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში მაღალხარისხოვან პროზულ ნაწარმოებებს და იძულებული არიან დასჯერდნენ მხოლოდ ლექსებს, რომლების ღირსება ზოგჯერ არცთუ მაღალია.

მწერლები ნაკლებად ეხმაურებიან სკოლის საარსებო საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, არ სწავლობენ მის ინტერესებს, საკმაოდ არ ეხმარებიან მას.

ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებამ, აგრეთვე სკოლების განყოფილებამ სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ მწერალთა იდეურ-პოლიტიკური შეგნების ამაღლებისათვის, მათს ერთ ნაწილში კი—ახსნაგანმარტებითი მუშაობაც.

ამხანაგებო, საქართველოს სსრ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც წარდგენილია საკავშირო მთავრობაში, ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა პროექტში გათვალისწინებულია 74 და მეტი პროცენტით.

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი საკითხი საკმაოდ არ არის ასახული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პროექტებში, აგრეთვე რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე დელეგატთა გამოსვლების გათვალისწინებით საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენმა დელეგატებმა პარტიის XIX ყრილობაზე დააყენონ შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობისა და საქართველოს სსრ მთავრობის სერიოზული შეცდომების შედეგად რესპუბლიკაში 1955 წლის დამლევისათვის ელექტროენერგიის დიდი ნაკლებობა იქნება. ყველაზე ეფექტიანი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა უგულებელყოფილი იყო და შენდებოდა პატარა ელექტროსადგურები.

თუ ახლავე არ გატარდა სერიოზული ღონისძიებანი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის, საქართველო დიდად ჩამორჩება სამრეწველო განვითარებაში.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა დაისვას საკითხი 1953-1955 წლებში მთელი რიგი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ და დამუშავდეს მდინარეებზე მტკვარზე, რიონზე, ბზიფზე, კოდორზე, ენგურსა და ალაზანზე ჰიდროელექტროსადგურების შექმნის საკითხები.

2. საქართველოს სს რესპუბლიკა მიწამცირე რესპუბლიკაა; საქართველოში ყოველ მცხოვრებზე დაახლოებით 3-4-ჯერ ნაკლები ნათესი ფართობი მოდის, ვიდრე, მაგალითად, რსფსრ რესპუბლიკასა და უკრაინის სს რესპუბლიკაში. ამიტომ მიწის ფონდის გადიდება საარსებოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა გატარებასთან ერთად.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გადიდდეს ასიგნობანი კოლხიდის ამოშრობის სამუშაოთა გასატარებლად და რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში წყალსამეურნეო ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც გათვალისწინებულია საკავშირო მთავრობის დადგენილებით, აგრეთვე ზემო ალაზნის არხის მშენებლობისათვის.

ამასთანავე საჭიროა გატარდეს ღონისძიებანი შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ფართო მექანიზაციისათვის სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების: ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, ხილისა და სხვა კულტურების დარგში, როგორც ვაკე ნაკვეთებზე, ისე მთაგორიან ადგილებში. ამ მიზნით საჭიროა თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნას სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი და საქართველოში აშენდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა.

3. საქართველოში დიდია კურორტების განვითარების შესაძლებლობანი. ამავე დროს კი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ამ მიზნისათვის არასაკმაო ასიგნობათა გამოყოფის შედეგად, საქართველოს კურორტები, რომლებსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ, ნელა ვითარდება.

უნდა დავაყენოთ საკითხი საკურორტო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სანატორიუმების მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ, განსაკუთრებით წყალტუბოში, ბორჯომსა და გაგრაში.

ქალაქების მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა უკვე მიმდინარე ხუთწლედში პრაქტიკულად შეკუდგეთ ქალაქების თბილისისა და ქუთაისის გაზიფიკაციასა და თბოფიკაციას ტყიბულის ფიქალებისა და სხვა საბადოების გამოყენების ბაზაზე.

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობა დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ა. ი. მგელაძემ მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკა არა მარტო ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა, არამედ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებიც, რომლებიც არ ჩქარობენ შეასრულონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი ნაკლოვანებათა და შეცდომათა გამოსწორების შესახებ.

ამხ. მგელაძემ დააყენა დიდი ამოცანები, რომელთა გადასაჭრელად კარგად უნდა იმუშაოს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ.

კამათში გამოსული ამხანაგები აკრიტიკებენ არსებულ ნაკლოვანებებს და აყენებენ მთელ რიგ საქმიან საკითხებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ისინი ძირითადად სწორად აკრიტიკებდნენ მინისტრთა საბჭოს და ცალკეული სამინისტროების მუშაობას.

პირობას ვაძლევ საქართველოს კომპარტიის XV ყრილობას, რომ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა მიიღებს ყველა საჭირო ღონისძიებას ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და მინისტრთა საბჭოს და სამინისტროების აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან წარსულის სერიოზულ შეცდომათა შედეგები და მიაღწიონ რესპუბლიკის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აყვანას ახალ სიმაღლეზე.

საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არ დაიშურებენ ძალღონეს, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში მოწინავე რიგებში იყვნენ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც დიდი საბრძოლო რევოლუციური წარსული აქვს და რომელიც სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილია დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ, ყოველთვის უსაზღვრო ერთგულებით შეასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა დავალებას, პარტიისა და საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ყველა დავალებასა და მითითებას! **(მჭუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხ. ვ. ბ. გოგუას სიტყვა

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილმა პერიოდმა განსაკუთრებული სიცხადით ნათელჰყო, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის ყველა უბანს.

ამ მოკლე დროში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებულმა მეტად დიდმა მუშაობამ ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომების ბოლშევიკური სიმკაცრით მხილებისა და გამოსწორებისათვის, უფრო და უფრო აშკარა გახადა ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის, პირადად ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის მიერ დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომებისა და ჩავარდნების ხასიათი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად დიდმა ბელადმა შობლიურმა სტალინმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს საქართველოს კომპარტიას ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებისა და ჩავარდნების დროზე მხილებით, მათი გამოსწორების ნამდვილი გზის ჩვენებით.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის დროს, კერძოდ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე, მე რესპუბლიკაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა მეკავა. ამიტომ იმ პოლიტიკური შეცდომებისა და ჩავარდნებისათვის, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ დაუშვა, მეც ვარ პასუხისმგებელი პარტიის წინაშე.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ არ მეყო სიფხიზლე და უნარი ჩვენი შეცდომების შემჩნევისა და გაკრიტიკებისათვის.

მართალია, გვიან, მაგრამ სავსებით შევიგენე ჩემი დანაშაული პარტიის წინაშე, საყვარელი ბელადის შობლიური სტალინის წინაშე. ეს დანაშაული მდგომარეობს პოლიტიკურ სიბეცეში, რაც მე გამოვიჩინე, იმაში, რომ არ აღმოვჩნდი რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკისათვის საჭირო სიმაღლეზე, კრიტიკულად არ ვაფასებდი საკუთარ მუშაობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელების, მისი ყოფილი პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის მუშაობასა და მოქმედებას.

თბილისის XXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე სრულიად გულწრფელად აღვნიშნე და საჭიროდ მიმაჩნია ყრილობაზეც გავიმეორო, რომ ჩემი დანაშაული მით უფრო დავამძიმე, რომ ვერ დავეხმარე პარტიას ჩვენს მუშაობაში დაშვებული პოლიტიკური შეცდომებისა და ჩავარდნების მხილებაში და დავადექი მცდარ გზას, ვხსნიდი რა ამ ჩავარდნებსა და შეცდომებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ჩემთვის, ცხადია, არასასიამოვნო, მაგრამ მეტად დიდი და დაუვიწყარი გაკვეთილია ის, რაც მე ჩემი უდარდელობით შემემთხვა.

სრულიად ბუნებრივად და სამართლიანად მიმაჩნია, როცა ამხანაგები მიმითითებენ ჩემს პასუხისმგებლობაზე, ჩარკვიანთან ერთად, ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომებისათვის.

ჩემს დანაშაულს პარტიის წინაშე პრაქტიკულ მუშაობაში გამოვეხატეთ, მთელი ჩემი ენერგიითა და შეგნებით ვიბრძოლებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა ცხოვრებაში განხორციელად გატარებისათვის. პარტიის წევრისათვის სავალდებელი აქტიურ წვლილს შევიტან იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობა ამხანაგ ა. მგელაძის მეთაურობით ეწევა ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომებისა და ჩავარდნების სალიკვიდაციოდ, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მუშაობის საფუძვლიანი გაჯანსაღება - განმტკიცებისათვის, პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის ყველა უბანზე ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისათვის.

ამხანაგებო! ჩარკვიანის მიერ დაშვებული შეცდომები პირველ რიგში იქიდან გამომდინარეობენ, რომ იგი მოწყვეტილი იყო მასებს, ჩაკეტილი იყო, არ იცოდა რა ხდებოდა ადგილებზე, რესპუბლიკას ქაღალდებით ხელმძღვანელობდა.

მეც აღმოვჩნდი ამ საშიში სენით დაავადებული და ნაკლებად დავდიოდი რაიონებში, საწარმოებში, თუმცა მე ამის ყველაზე მეტი შესაძლებლობა მქონდა სამუშაოს ხასიათის მიხედვით.

ამხ. ჩარკვიანს არ ჰქონდა სიმამხვილე მუშაობაში, იგი დანაშაულებრივი, ლმობიერი შემარიგებლობის გზას ადგა. მის მოხსენებებში არასოდეს არ ყოფილა გაკრიტიკებული არამც თუ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა, არამედ ასე თუ ისე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, თუმცა, როგორც ახლა აშკარა არის, ბევრი იმდროინდელი ხელმძღვანელი მუშაკი ამას საჭიროებდა. კიდევ მეტიც, საქმის ინტერესები მოითხოვდა მათ დაუყოვნებლივ შეცვლას, სამუშაოდან მოხსნას, განთავისუფლებას. მე კი ჩემი მხრივ ოფიციალურად, პრინციპულად ამის შესახებ საკითხი არასოდეს არ დამიყენებია ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე.

პარადული განწყობილება, რომელიც დამკვიდრდა მაშინდელ ხელმძღვანელ მუშაკთა შორის, შედეგი იყო არა მარტო იმისა, რომ ჩარკვიანი უწყობდა ხელს ამას, არამედ იმისაც, რომ ბევრი ჩვენგანი, რომლებიც მაშინ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვიყავით, ხელს ვუწყობდით ამ განწყობილების გავრცელებას. პირველ რიგში ასე ვიქცეოდი მე. ამას კი იმიტომ ჩავდიოდი, რომ ბრმად მჯეროდა ჩარკვიანის, პატივს ვცემდი მას.

ამხანაგებო! მიუხედავად ჩემ მიერ დაშვებული შეცდომებისა, პარტიამ შესაძლებლად ჩათვალა ჩემი კვლავ პასუხსაგებ სამუშაოზე დანიშვნა. სიტყვას ვაძლევ ყრილობას, რომ ამ ნდობას გავამართლებ ჩემი მუშაობით.

ყრილობაზე სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშაობა. მე ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნებს გავაკეთებ და საჭირო ზომებს მივიღებ კომბინატის მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას სისტემატურად ადევნებს თვალყურს და ყველა საჭირო დახმარებას უწევს მის მუშაკებს მრეწველობის ამ დარგის ფუძემდებელი ჩვენს რესპუბლიკაში ამხანაგი ლავრენტი ბერია. ეს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმ [illegible] მხოლოდ კარგად.

საქართველოს მეშახტეები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უახლოეს დროში აღმოფხვრან ჩვენს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და უზრუნველყონ ქვანახშირის ამოღების ისეთი ზრდა, რაც დააკმაყოფილებს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობის მოთხოვნილებას ქვანახშირზე.

დიდება, დიდხანს სიცოცხლე ჩვენს ბელადს, მასწავლებელს და მამას შობლიურ სტალინს! **(ტაში).**

ამხ. ა. ტ. რიაბოვის სიტყვა

ამხანაგებო! ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საზღვრების დაცვის განმტკიცებას, მუდამ ზრუნავენ მესაზღვრეებისათვის, ზრდიან მათ მაღალი სიფხიზლის, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

თანამედროვე ვითარება მესაზღვრეებს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს. ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმია, ჩვენი მესაზღვრეები ფხიზლად იცავენ სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს, თავდადებულად, სიცოცხლის დაუზოგავად ემსახურებიან მას.

სასაზღვრო ჯარების ჯარისკაცები ყოველ პირობებში ასრულებენ თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე. დღისით თუ ღამით, სიცხესა თუ სიცივეში, კოკისპირულ წვიმაში თუ ქარბუქში ისინი მამაცურად დგანან ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საზღვრებზე. ამ საპატიო და პასუხსაგებ სამსახურში მათ ყოველთვის მხურვალედ უჭერენ მხარს და ეხმარებიან ყველა მშრომელნი.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა ხელს არ უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან მესაზღვრეთა კავშირის განმტკიცებას, ნაკლებად ზრუნავდა სახელმწიფო საზღვრების დაცვისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო საზღვრის დაცვის საქმეს, საჭირო დახმარებას უწევს მესაზღვრეებს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. მგელაძემ დიდი დახმარება გაგვიწია სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში.

მესაზღვრეები დიდ პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან ადგილობრივ მოსახლეობაში, განუმარტავენ მას პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, გამოდიან ლექციებითა და მოხსენებებით.

საქართველოს მესაზღვრეები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სასიხარულო დღეებს განიცდიან. სწავლობენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტებს XIX ყრილობისათვის, მესაზღვრე მეომრები კვლავ ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას კომუნისტური პარტიის გარშემო, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო, მთელ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ გაზარდონ სასაზღვრო სამსახურის ოსტატთა, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრთადოსანთა რიგები.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, კომუნიზმისათვის ბრძოლის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება დიდ სტალინს! **(მჭუხარე ტაში).**

ამხ. ა. გ. გოგრონიძის სიტყვა

საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი

მახარაძის რაიონის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ასწორებს დაშვებულ შეცდომებს.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ დატაცებული 147 ჰექტარი მიწა, 1.063.353 მანეთი დებიტორული დავალიანება და 1.043.670 მანეთი ჭარბი ავანსი, 239 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესასრულებლად პარტიული ორგანიზაციების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა წესრიგი შეიტანა კოლმეურნეობების საქმიანობაში და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათს სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები, ლიკვიდირებული არ არის დებიტორული დავალიანება და მთლიანად დაბრუნებული არ არის დატაცებული მიწები. ამ დარღვევათა აღსაკვეთად კვლავ განაგრძობენ მუშაობას საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები, რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგად გაიზარდა კომუნისტების აქტივობა, პატივისცემით სარგებლობს თვითკრიტიკა, ქვემოდან კრიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციები გაცილებით უკეთ ახამებენ პარტიულ და სამეურნეო საქმიანობას. მაგალითისათვის მოვიყვან სოფელ მელექედურის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის თვითეული წევრი აქტიურად მონაწილეობს პარტიულ ცხოვრებაში, არ არის არც ერთი კომუნისტი, რომელსაც მუდმივი ან პერიოდული დავალება არ ჰქონდეს. კოლმეურნეობაში არსებული 7 ბრიგადიდან 6 ბრიგადას კომუნისტი ხელმძღვანელობს, ხოლო 8 კომუნისტი მერგოლურია. თვითეული კომუნისტი საკოლმეურნეო შრომის ავანგარდშია. მომზადებულად, მაღალ დონეზე ეწყობა პარტიული კრებები. კრებებზე იხილავენ როგორც პარტიულ-პოლიტიკურ, ისე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხებს. პარტიული ორგანიზაცია სწორად ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას.

ასე მოწყობილმა პარტიულმა მუშაობამ, პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შენამებამ განსაზღვრა კოლმეურნეობის სამეურნეო წარმატებანი. მელექედურის კოლმეურნეობამ, სადაც 38 ჰექტარ ჩაის პლანტაციას ხელოვნურად რწყავენ, რაიონში პირველმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის ოთხი თვის გეგმა, ხოლო წლიური გეგმა 15 სექტემბრისათვის შესრულებული ჰქონდა 90 პროცენტით. აქ საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3.920 კილოგრამი ფოთოლი, 300 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

მიუხედავად ამისა, რაიონი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში. 15 სექტემბრისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 78,0 პროცენტით, ნაცვლად 21.072 ტონისა მოკრეფილია 16.420 ტონა, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 2.700 კილოგრამი ფოთოლი. ჩამორჩენა იმან გამოიწვია, რომ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების პირველ პერიოდში ჩვენ ცუდად მოვაწყეთ შემოსული ფოთლის კრეფა. ამის გამო მაისში და ივნისში ადგილი ჰქონდა ჩაის ფოთლის გაუხეშებასა და დაჭაკარგებს.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია ყველა ზომას იღებს იმისათვის, რომ სასწრაფოდ გამოასწოროს ჩამორჩენა და გადაჭარბებით შეასრულოს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1957 წლისათვის ჩაის პლანტაციები მახარაძის რაიონში 10.000 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს, ვთხოვ ცენტრალურ კომიტეტს დააყენოს საკითხი ჩვენს რაიონში ნასაკირალის მეორე და ლაითურის მეორე ჩაის საბჭოთა მეურნეობების შექმნის შესახებ.

ყრილობის ყურადღება მინდა მივაქციო აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა მეურნეობებში საბინაო ფონდის სიმცირის გამო შეუძლებელი ხდება მუშახელის საჭირო რაოდენობით შენარჩუნება, ხოლო ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი და საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრო ამ მხრივ საბჭოთა მეურნეობებს ნაკლებ დახმარებას უწევენ. ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში საბინაო მშენებლობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 57,1 პროცენტით, ხოლო ნარუჯას საბჭოთა მეურნეობაში № 8 და 9 სახლის მშენებლობა სახურავი მასალისა და ხეტყის უქონლობის გამო შეჩერებულია.

აუცილებელია მოგვარდეს კოლმეურნეობების საშენი მასალებით, ავტომანქანის ნაწილებითა და საბურავებით დროულად მომარაგება. სავაჭრო და სხვა ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ კოლმეურნეობების საშენი მასალებით მომარაგებისათვის, რის გამო კოლმეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს მესაქონლეობის ფერმების შენებლობა.

წელს რაიონში 1.000 ჰექტარზე მეტი ფართობი უნდა მომზადდეს ციტრუსეებისა და ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. ამ ამოცანის შესრულება დიდად არის დამოკიდებული მტს-ის მუშაობაზე. მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მას არ ამარაგებს ტრაქტორის ნაწილებით. ამ საქმესაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მახარაძის რაიონის კომუნისტები, საქართველოს კომუნისტებთან და მთელ ქართველ ხალხთან ერთად უფრო შეამჭიდროებენ თავიანთ რიგებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო, შემდგომ აამაღლებენ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლის უნარიანობას და ყველაფერს გააკეთებენ რაიონის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. გ. ს. კიკნაძის სიტყვა

ამიერკავკასიის რკინიგზის საამართველოს უფროსი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობიდან XV ყრილობამდე გასული დრო ჩვენი ორგანიზაციის ისტორიაში შევა როგორც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

ამ პერიოდის უკანასკნელი მეოთხედი აღსავსეა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენებით. სწორედ ამ პერიოდში შეცვლილ იქნა ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა, რომელმაც კრახი განიცადა, და დაწყებულ იქნა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ძირეული გარდაქმნა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ ცოტა დრომ განვლო. მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მეთაურობით შეძლეს ფართოდ გაეჩაღებინათ ბრძოლა პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მთელი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

ამიერკავკასიის რკინიგზასაც ახასიათებდა ყველა ის ნაკლი, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს ჰქონდათ. მუშაობის მანკიერი სტილი, რასაც ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა ნერგავდა, ახასიათებდა ჩვენი რკინიგზის ზოგიერთ ხელმძღვანელებსაც.

უკანასკნელ წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობაში იგრძნობოდა სუსტი დისციპლინა, იყო ავარიების ხშირი შემთხვევები, მექრთამეობის, გაფლანგვა-დატაცების ფაქტების სიმრავლე.

უნდა ვაღიაროო, რომ სახელმწიფო სახსრების მითვისებისა და გამომძალველობის სამარცხვინო ფაქტებს ჩვენ ზოგჯერ საქმოსნურად ვუდგებოდით, მათ სწორ პოლიტიკურ შეფასებას არ ვაძლევდით. ცენტრალური კომიტეტის, მისი ყოფილი მდივნის კ. ჩარკვიანის მხარდაჭერას ვერ პოულობდა სიგნალები იმ პირთა დასჯის შესახებ, რომლებსაც სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებისათვის არასწორი განაჩენები გამოჰქონდათ და ამით ძირს უთხრიდნენ რკინიგზაზე ისედაც შერყეულ დისციპლინას.

მაგრამ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგაც კი ვერ შევძელით სწრაფად მოგვეკიდნა ხელი მუშაობის გარდაქმნისათვის. ამის გამო ჩვენ სავსებით სამართლიანად გაგვაკრიტიკა საანგარიშო მოხსენებაში ამხ. მგელაძემ.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კამათი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. ს. კიკნაძის სიტყვის დასასრული

ეს ნაკლოვანებები გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენი სამეურნეო და პოლიტიკური ხელმძღვანელები საკმაოდ შეწყობილად და შეთანხმებულად ვერ მუშაობდნენ. უფრო მეტიც, პოლიტგანყოფილებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ადგებოდა ერთმმართველობის დარღვევისა და სამეურნეო მუშაკთა მაგიერობის გაწევის გზას. თუ რა გამოვიდა აქედან, ეს თვალნათლივ დავინახეთ რკინიგზის თბილისის განყოფილების მაგალითით.

ხელმძღვანელობაში უთანხმოების, წვრილმანი კინკლაობისა და ინტრიგების გამო ეს დიდი განყოფილება, რომელიც სამმართველოს და პოლიტგანყოფილების გვერდით იმყოფებოდა, ყველაზე ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

რკინიგზის მუშაობის ყველა ნაკლის ძირითადი მიზეზი იყო დისციპლინის შესუსტება, პირველ რიგში მეთაურთა შემადგენლობაში. ამ მხრივ პირადად მე დიდი დანაშაული მიმიძღვის.

ამა წლის 9 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განხილულ იქნა გზის მუშაობის საკითხი, რომლის დროსაც მოცემულ იქნა ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა განსაკუთრებით სწორი და ღრმა ანალიზი, დაისახა მათი გამოსწორების პრაქტიკული გზები.

ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში დიდი დახმარება გაგვიწია სპეციალურმა თათბირმა, რომელიც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო გზის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობასთან ერთად.

ეს თათბირი იმდენად შინაარსიანი და ნაყოფიერი იყო, რომ მისი ყველა მონაწილე მასში ხედავდა იმ შესანიშნავი ტრადიციების აღდგენის ერთ-ერთ მაგალითს, რომლებსაც საქართველოსა და ამიერკავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციას უნერგავდა ხელმძღვანელობის სტალინური სტილის ოსტატი ამხანაგი ლ. პ. ბერია.

დიდ ყურადღებას აქცევდა რა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობას, ამხანაგი ბერია თითქმის ყოველ წელიწადს მიგვიწვევდა ხოლმე, მოისმენდა პრაქტიკოს მუშაკთა აზრს და გვაძლევდა განსაკუთრებით ძვირფას მითითებებს გზის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თათბირის მასალები ფართოდ იყო გაშუქებული პრესაში, და საჭირო არ არის მათზე დაწვრილებით შევჩერდეთ. მაგრამ მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ამ თათბირმა შეასრულა გზის მთელი მუშაობის გარდაქმნისა და სამეურნეო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხარისხის ახალ ამოცანათა დონეზე აყვანის საქმეში.

ჩვენ ერთსულოვნად და მტკიცედ შევუდექით მუშაობას ჩვენი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გზის მუშაობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ჯერ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ უკვე გარკვევით ვგრძნობთ, რომ გზის მუშაობა დღითიდღე უმჯობესდება.

მეორე კვარტალში, როგორც ცნობილია, დატვირთვის გეგმა გზამ მხოლოდ 98 პროცენტით შეასრულა. მესამე კვარტალში მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ გზის კოლექტივმა ივლისში გეგმა შეასრულა, აგვისტოში კი გადააჭარბა მას. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა სექტემბერშიც.

ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებში, ამ ბოლო დროს გზაზე გაწეულია დიდი მუშაობა საბჭოთა კანონიერების განსამტკიცებლად. მაგრამ ყოველივე ეს არ კმარა.

დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ მატარებლების მოძრაობის უსაშიშრობის განმტკიცების დარგში. ჩვენ მოვალენი ვართ მკვეთრად გავაუმჯობესოთ მშენებლობის საქმე, რომელიც დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

ცნობას საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ ამიერკავკასიის გზის კოლექტივი ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდა.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტის განხილვისას კომუნისტებს შემოაქვთ მრავალი ძვირფასი პრაქტიკული წინადადება მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და ტვირთზიდვის მოცულობის გადიდებისათვის შინარესურსების მობილიზაციის შესახებ. ამასთანავე ბევრ ამხანაგს შემოაქვს წინადადებანი ახალი ტექნიკის დანერგვისა და რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობის საფუძველზე გზის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

მეხუთე ხუთწლედში შემდგომი განვითარება უნდა ჰპოვოს ახალი ტექნიკის ისეთმა სახეებმა, როგორიც არის ავტობლოკირება, ლოკომოტივის ავტომატური სიგნალიზაცია, ავტოსტოპები, ისრების ელექტროცენტრალიზაცია, დისპეტჩერული ცენტრალიზაცია და ა. შ.

გზათა სამინისტრო უნდა დაგვეხმაროს, რათა გზის საჭიროებათა შესაბამისად ვაწარმოოთ ფართო საბინაო მშენებლობა.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს იმ ამოცანების შესრულებას, რომ მივაღწიოთ ტვირთზიდვის შემდგომ აღმავლობას და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ყველა საჭიროების უფრო სრულ მომსახურებას.

დიდი და საპატიოა ამიერკავკასიის გზის წინაშე მდგომი ამოცანები.

ამიერკავკასიის გზის მრავალათასიანი კოლექტივი პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგა, მუშაობს უმაგალითო აღფრთოვანებითა და შემოქმედებითი აღმავლობით, იბრძვის იმისათვის, რომ გამოიყვანოს ამიერკავკასიის რკინიგზა საბჭოთა კავშირის მოწინავე გზების რიგებში.

ამიერკავკასიის რკინიგზელები, რომლებიც სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილი არიან ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ, ღირსეულად გამართლებენ მათთვის აღმოჩენილ ნდობას და შეასრულებენ პარტიის, მთავრობისა და დიდი სტალინის ყველა დავალებას. (ტაში).

ამხ. მ. ი. ჯაშის სიტყვა

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილმა ხუთნახევარმა თვემ ყოველ ჩვენგანს ნათლად დაანახვა იმ დიდი მუშაობის შედეგი, რასაც ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობა თანამიმდევრულად ეწევა ძველის ხელმძღვანელობის მანკიერი სტილის შედეგად დაშვებული შეცდომების, ნაკლოვანებებისა და ჩავარდნების გამოსასწორებლად.

ხუთნახევარი თვის მანძილზე არ დარჩენილა ჩვენი მუშაობის არცერთი დარგი, სადაც ცენტრალურ კომიტეტს ღრმად არ ჩაეხედოს, არ განეხორციელებინოს სერიოზული ღონისძიებანი და ამის შედეგად მუშაობაში არ მომხდარიყოს მკვეთრი გარდატეხა.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა რესპუბლიკამ დაიწყო სისხლსავსე ცხოვრება, რასაც ჩვენ კარგა ხანია მოკლებული ვიყავით.

ამხანაგებო! ტყე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ეკონომიური ძლიერების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მასზე დიდად არის დამოკიდებული სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მიუხედავად მიღწევებისა, რომლებიც მოპოვებულია სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხაზით ტყის გაშენებისა და არსებული ტყეების მოვლა-პატრონობის საქმეში, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი და დამახინჯებაა.

მიუხედავად იმისა, რომ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ 1947 წლიდან დღემდე გააშენა 20.000 ჰექტარამდე ხელოვნური ტყე, ამ დარგში ბევრი რამ კვლავ გასაკეთებელია.

სამინისტრომ აქამდე ვერ მიაღწია ნარგავთა გახარების საქმეში მკვეთრ გარდატეხას.

გახარების ცუდი შედეგების მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ტყის გასაშენებლად დადგენილი აგროტექნიკისა და სამუშაოების ჩატარების ვადების დარღვევა, უსტანდარტო სარგავი მასალის გამოყენება და მისი მოუვლელობა ტრანსპორტირებისა და დარგვის დროს.

ძალიან სუსტად მუშაობენ ტყესაცავი სადგურები, რომლებიც ახორციელებენ ტყესაცავი ზოლების გაშენებას. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ტყის გაშენების სამუშაოთა მექანიზაცია, ხოლო სამინისტრო ქმედით დახმარებას ვერ უწევს სადგურებს არსებული მექანიზმების გამოყენებაში.

სატყეო მეურნეობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, ყველა სამუშაო ჩაატარონ აგროტექნიკის მოთხოვნათა დონეზე, მაქსიმალურად გაადიდონ ნარგავების გახარება, შეასრულონ სარგავი მასალის გამოყენების გეგმები და მიაღწიონ მუშაობაში მკვეთრ გარდატეხას.

არსებული ტყეების სწორი ექსპლოატაცია, ტყეში ე. წ. მოვლითი ჭრების ჩატარება სატყეო მეურნეობის სამინისტროს უძნიშვნელოვანესი ამოცანაა.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციები, რომლებსაც ტყეკაფი ეძლევათ, წლიდან წლამდე არ ითვისებენ ძას სიმორისა და უგზოობის მომიზეზებით და მოითხოვენ ტყეკაფის გამოყოფას ახლო მდებარე და ადვილად მისადგომ ტყის მასივებში, მაშინ როდესაც ამ ადგილებში ჭრა დაუშვებელია. 1947-1951 წლებში მთავრობის დადგენილებით გამოყოფილი იყო ტყეკაფი 8.749 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის დასამზადებლად, აქედან აუთვისებელი დარჩა 2.445 ათასი კუბური მეტრი. ტყეკაფის ფონდებს ყოველწლიურად არ ითვისებენ უმთავრესად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და მთელი რიგი რაისაბჭოების აღმასკომები. ასეთი მდგომარეობა არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ტყეების დაცვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დაცვის ღონისძიებებიდან ძირითადია ბრძოლა ტყის ხანძრისა და ხე-ტყის გაჩეხვა-დატაცების წინააღმდეგ, წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებების განხორციელება და მეთვალყურეობის დაწესება ტყის მავნებლების გავრცელების თავიდან ასაშორებლად და ტყით სარგებლობის წესების დაცვა.

უკანასკნელ წლებში ხე-ტყის თვითნებურად მოჭრის შემთხვევები საერთოდ შემცირდა, მაგრამ მთელ რიგ სამმართველოებსა და სატყეო მეურნეობებში ტყეების დაცვის დარგში მაინც სერიოზული ნაკლოვანებანია.

გარდა იმისა, რომ სატყეო მეურნეობები არადროულად და არახარისხიანად აფორმებენ ტყის წესების დარღვევის საქმეებს და დაგვიანებით უგზავნიან მას სათანადო ორგანოებს, მილიციისა და სასამართლოს ადგილობრივი ორგანოები ხშირად უსაფუძვლოდ აჭიანურებენ ტყის წესების დარღვევების შესახებ შემდგარი საქმეების გამოძიებასა და განხილვას, ამასთან სასამართლო ორგანოები სათანადოდ არ ზრუნავენ განაჩენის სისრულეში მოყვანისათვის.

საჭიროა ითქვას, რომ სამინისტროს დაქვემდებარების ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული სახელმწიფო სახსრების ხარჯვა, მთელ რიგ სატყეო მეურნეობებსა და ტყესაცავ სადგურებში ხდება გადახარჯვა, დარღვეულია საფინანსო დისციპლინა, არის თანხების გაფლანგვა-განიავების შემთხვევები.

ამჟამად სამინისტროს ხელმძღვანელობა მთელ რიგ სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მითითებათა საფუძველზე მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

სატყეო მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში ნაკლები დარღვევები და შეცდომები იქნებოდა, მათ საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას რომ უწევდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მგელაძემ თავის მოხსენებაში სრულიად სამართლიანად გააფრთხილა ზოგიერთი სამინისტროს ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის. ეს გაფრთხილება სატყეო მეურნეობის სამინისტროსაც ეხება.

სატყეო მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. ე. დ. ჯვებენავას სიტყვა

საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! გაეცნენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას XIX ყრილობის მოწვევის შესახებ და საყრილობო მასალებს, გეგეჭკორის რაიონის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად.

რაიონის კოლმეურნეები დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ ყრილობის გახსნის დღეს — 1952 წლის 5 ოქტომბერს შეხვდნენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის წარმატებით შესრულებით. ბევრმა კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება ყრილობის გახსნის დღისათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს წლიური დავალებები და ამჟამად გეგმის გადამეტებით აბარებენ ჩაის ფოთოლს სახელმწიფოს. სოფელ გაჭედილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, კოლმეურნეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 50 ტონა ფოთოლი. ამ ვალდებულების გასანაღდებლად დღეისათვის უკვე მოკრეფილია 19,3 ტონა ფოთოლი. ამავე სოფლის კოლმეურნეობა „წინსვლამ“ სახელმწიფოს ჩააბარა 70,5 ტონა ჩაის ფოთოლი და გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. ამ კოლმეურნეობას წლიური გეგმის გადამეტებით უკვე მოკრეფილი აქვს 2 ტონა ჩაის ფოთოლი და ა. შ. რაიონის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

გეგეჭკორის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა საქართველოს კ. პ. (ბ) აპრილისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით, წარმატებით ასწორებენ რაიონში დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს. გამოვლინებულ იქნა საკოლმეურნეო მიწების დატაცების 1.462 შემთხვევა, დატაცებული იყო 350 ჰექტარზე მეტი მიწა. მითვისებული და განიავებული იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 136 სული, ცხენი—15, თხა და ცხვარი—120, ღორი — 43 სული, ფრინველი—858 ფრთა და სხვ. აგრეთვე გამოვლინებულ იქნა საკოლმეურნეო თანხების გაფლანგვა 931.000 მანეთის რაოდენობით. ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ რაიონში უხეშად მახინჯდებოდა საკოლმეურნეო წესდება, ირღვეოდა საკოლმეურნეო დემოკრატია. მიღებული ზომების შედეგად აღნიშნული ქონება დაუბრუნდა კოლმეურნეობებს, ხოლო დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნენ მიცემული.

რაიონში, საშუალო ხელსაყრელი ციფრების უკან რომ სერიოზული შეცდომები იფარებოდა, ამაზე მიუთითებენ შემდეგი ფაქტები. წინააღმდეგ ზემდგომი ორგანოებისათვის გაგზავნილი ცნობისა, გეგეჭკორის რაიონში პური ფაქტიურად დათესილი იყო 20 პროცენტით ნაკლები, სიმინდი—15 პროცენტით ნაკლები, ხოლო სილოსი დამზადდა 75 პროცენტით ნაკლები. 20 კოლმეურნეობაში ჩაის კულტურა დათესილი აღმოჩნდა ნაცვლად 282 ჰექტარისა 232 ჰექტარი, დიდი ჰყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობას აკლია 8,64 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ჰყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას — 7 ჰექტარი. ყოველივე ეს მოწმობს, რომ პასპორტიზაცია წესიერად არ იყო ჩატარებული. კარგი იქნებოდა, თუ მოხდებოდა ჩაის პასპორტიზაციის 1949 წლის შედეგების გადასინჯვა და დაზუსტება.

არტელის წესდების დამახინჯებათა გამოსწორებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტ ღონისძიებებს შედეგად ის მოჰყვა, რომ კოლმეურნეები ახლა უფრო დაინტერესებული არიან საკოლმეურნეო შრომით.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ ყველა ღონისძიება არ არის გატარებული მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლად. 1951 წელს მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ძალზე დაბალი იყო. მიმდინარე წელს რაიონის კოლმეურნეობებმა პირველად მოჰკიდეს ხელი სათესი მიწების მერგელით და შლამით განოყიერებას. მოძავალ წელს ამ მხრივ მუშაობა უფრო ფართოდ გაიშლება. რაიონში სავსებით გამოუყენებელია მდინარეები ცხენისწყალი, ტეხური, ნაჩხურა და აბაშა, რომელთა საშუალებით ათასობით ჰექტარი მიწის მორწყვა შეიძლება. ამ საქმეში საჭირო იქნება დაგვეხმარონ წყალთა მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მდინარე ცხენისწყალზე ხიდის აგება, რომელიც გეგეჭკორის რაიონს წულუკიძის რაიონთან დააკავშირებს. რაიონულ ცენტრს არა აქვს საავადმყოფოს შესაფერი შენობა. ერთ დროს დაუწყიათ საავადმყოფოს შენობის აგება, მაგრამ 2 წელიწადია, რაც მშენებლობა შეჩერებულია. აოცილებელია აგრეთვე რაიონის ცენტრში აღმინისტრაციული სახლის აგება. ვფიქრობთ, საქართველოს მთავრობა გაითვალისწინებს ამ მდგომარეობას.

გეგეჭკორის რაიონის პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა ბოლომდე გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებები. ჩააყენონ რაიონი მოწინავეთა რიგებში. გეგეჭკორის რაიონის ბოლშევიკები პირობას აძლევენ ყრილობას, რომ წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამ ამოცანას.

გაუმარჯოს პროგრესული კაცობრიობის იმედს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). 18 სექტემბრის სხდომაზე უშიშროების საბჭომ დაამთავრა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტის განხილვა, რომელიც შეიცავდა წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იაპონიის მიღების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ოსტინი გამოვიდა თავისი რეზოლუციის პროექტის დასაცავად და მოითხოვდა იაპონიის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა თავის გამოსვლაში გამოაშკარავა ამერიკის დელეგატის მიერ მოყვანილ მოსაზრებათა უსაფუძვლობა და კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით ცხადყო, რომ იაპონია ამჟამად არსებითად შეერთებული შტატების კოლონიაა და არა „სუვერენული სახელმწიფო“, როგორც ამას ამერიკის დელეგატი ამტკიცებდა.

ამერიკის [illegible] მოითხოვდა იაპონიის მიღებას [illegible] ერების [illegible] საბჭომ. სსრ კავშირის წარმომადგენელმა [illegible] ცა ამერიკის წინადადების წინააღმდეგ, ამერიკა-ინგლისის ბლოკმა ხმა მისცა რეზოლუციის ამ პროექტს.

ამის შემდეგ უშიშროების საბჭო შეუდგა საფრანგეთის რეზოლუციათა პროექტების განხილვას, რომლებიც შეიცავენ წინადადებას მიღებულ იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკა-საფრანგეთის მტროონტები: „მეფის ვიეტნამი, მეფის ლაოსი და მეფის კამბოჯა“, როგორც მათ უწოდა საფრანგეთის დელეგატმა.

რეზოლუციათა ამ პროექტების დასაცავად საფრანგეთის დელეგატის გარდა გამოვიდნენ ავრეთვე საბერძნეთის, ჰოლანდიისა და ინგლისის დელეგატები, რის შემდეგ უშიშროების საბჭოს სხდომა დაიხურა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 19 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლი-სინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის სამი და დააზიანეს ორი ავიაგამანადგურებელი.

გუშინ ღამით ამერიკის ბომბდამშენებმა „ბ-29“ ფხენიანის მიდამოებში დაბომბეს მშვიდობიანი სოფლები.

ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ ბარბაროსულად დაბომბეს ფხენიანი

ფხენიანი, 19 სექტემბერი. (საკდესი). 17 სექტემბრის ღამით ამერიკის 20 „მფრინავმა სიმაგრემ“ კვლავ ბარბაროსულად დაბომბა ფხენიანი. ამერიკელმა ინტერვენტებმა მსხვილი კალიბრის ათობით ფუგასური ბომბი დააყარეს ქალაქს. განსაკუთრებით დიდია მსხვერპლი ფხენიანის დასავლეთი რაიონის უბნებში, სადაც ნანგრევებში დაიღუპა მრავალი ქალი, მოხუცი და ბავშვი.

ამერიკელებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება ნეიტრალური ზონის შესახებ

კეკინი, 19 სექტემბერი. (საკდესი). 18 სექტემბრის სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყებოდა:

გუშინ, დილის 9 საათსა და 45 წუთზე ამერიკის თვითმფრინავმა გადაუფრინა პანმინჯონის ნეიტრალურ ზონას. ეს ახალი დარღვევაა შეთანხმებისა იმ ზონის შესახებ, სადაც კონფერენცია მიმდინარეობს.

დღევანდელ სხდომაზე კორეისა და ჩინეთის მხარის უფროსმა მეკავშირე ოფიცერმა პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა ამერიკის უფროს მეკავშირე ოფიცერს ამის გამო პროტესტი განუცხადა.

იმავე დღეს, როცა ამერიკის თვითმფრინავმა კონფერენციის რაიონს გადაუფრინა, ამერიკის უფროსმა მეკავშირე ოფიცერმა მაკარტიმ ჩვენს უფროს მეკავშირე ოფიცერს გადასცა წერილი, რომელშიც აღიარებდა, რომ ამერიკელებმა დაარღვიეს შეთანხმება და 14 სექტემბერს კონფერენციის რაიონში მიმოფანტეს ცილისმწამებლური ფურცლები. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკელები ყოველ შესაძლებელ ღონისძიებას მიიღებენ, რათა არ დაუშვან ასეთი შემთხვევათა გამეორება. მაგრამ ერთი საათით ადრე, სანამ მაკარტის წერილს ჩვენი მხარე მიიღებდა, ამერიკის თვითმფრინავმა დაარღვია შეთანხმება.

ამერიკელებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება ნეიტრალური ზონის შესახებ და ამავე დროს აღიარეს წინანდელი დარღვევის ფაქტი, პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა ამერიკელებს განუცხადა „საკუთარ ცხადია, რომ თქვენ არა გსურთ შეასრულოთ შეთანხმება ნეიტრალური ზონის შესახებ და წესრიგი დაიცვათ ამ ზონაში“.

ამერიკელთა მიერ ნეიტრალური ზონის შესახებ შეთანხმების დარღვევის შემთხვევათა რიცხვი სულ უფრო მატულობს, მაშინ როცა მოლაპარაკება დაზავების შესახებ განუწყვეტლივ იფუშება შეწყვეტამდე გამო... 2 აგვისტოს ამერიკელებმა საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს კონფერენციის რაიონს. ამერიკის თვითმფრინავებმა თავს გადაუფრინეს კონფერენციის რაიონს 4, 10, 11, 12, 16 აგვისტოს და 17 სექტემბერს. 14 სექტემბერს ამერიკელებმა ფურცლები ჩამოყარეს კონფერენციის რაიონში. გარდა ამისა, ისინი ხშირად იყენებენ კონფერენციის რაიონს როგორც არხს თავისი აგენტების გადასაყვანად.

ბულგარეთ-ალბანეთის შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ

სოფია, 19 სექტემბერი. (საკდესი). აქ ხელმოწერილ იქნა კულტურული შეთანხმება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

შეთანხმება ითვალისწინებს რადიოინფორმაციის, ბეჭდვითი ნაწარმოებების გაცვლას ამ ორ ქვეყანას შორის, ბულგარული და ალბანური მუსიკის კვირეულების მოწყობას, კულტურის მოღვაწეთა ურთიერთგაგზავნას და სხვ.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი: მოწინავე — საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის პროგრამა.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში.

მ. შტეფანი — დიდი მშენებლობის წამყვანი ძალა. საქართველოს მეცნიერების დახმარება დიდი მშენებლობებისადმი.

საქართველოს პროფსაბჭოს V პლენუმი.

მეორე და მესამე გვერდი: საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა. კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გამო. ამხანაგებს ნ. ა. გიორგაძის, ვ. ბ. გოგუას, ა. ტ. რიბიბოვის, ა. გ. გობრონნიძის, გ. ს. კოკაძის, მ. ი. ჯაშის, ი. დ. კოკლამაზაშვილის, ა. გ. იმნაძის და ე. დ. ჯვებენავას სიტყვები.

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს რადიოგადაცემათა 22 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ოინა ტუსკიას სუიტა „საშობლო“; 07.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 09.20 — კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან; 17.15 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ს. ცაიშვილის ნარკვევი: „საბერლოვანი კედლები“; 17.15 — ნაწყვეტები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან; 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.45 — საერთაშორისო მიმოხილვა.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით 20.30 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — არიები ოპერებიდან; 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00—თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის ტრანსლაცია მოსკოვიდან; 21.45 — საუბარი: „კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა“; 22.00—კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 22.45 — ლიტერატურული გადაცემა: „ხალხთა მეგობრობის იდეები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში; 23.05 — ფანტაზიები ოპერეტებიდან; 00.05 — საბალეტო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — ვარდი ასფურცლოვანი (დილით), ანტონიოს და კლეოპატრა (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — მაკარ ღუბრავა (დილას, საღამოს—პრემიერა 9, 10); **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი (დილას, საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გაქვავებული ქალაქი (ბინომენტი 25, 29, დასაწყისი 10 ს. და აბონემენტი 22, 56, 61, დასაწყისი 2 ს. ფილარმონიის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მოალისფრო ყვავილი (დასაწყისი 10 ს. და 2 ს.), ვერაგობა და სიყვარული (დასაწყისი 8 ს.); **სანკულტურის** — მე შენ მოგნახავ.

ბავშვთა ოლიმპიადა

ელენე ოიხარის ასულ ჩიხლაძე-სვანიძის — ბავშვიდი 23, 24-IX, 8 ს. გამოსვენება 25-IX, 5 1/2 ს. ორჯონიკიძის ქ. № 97.

ვარლამ ისიდორეს-ძე ძოძუაშვილის — ბავშვიანი ოჯახებით იუწყებიან ვარლამ ისიდორეს-ძე ძოძუაშვილის გარდაცვალებას.

ეკატერინე ფეიქრიშვილის — ბავშვიანი ოჯახებით იუწყებიან ეკატერინე ფეიქრიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-IX ქ. გურჯაანში.

ანანია პანტელეიმონის-ძე მეკავანაძესთან — განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ თბილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებანი: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, ორგანიზაციული—3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებებისა—3-51-81, გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14

УЭ 05535